ISSN 0203—2023

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 9

1987

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (505) სექტემბერი 1987 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

216. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახელმწიფო არბიტრაჟის საკითხებზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

217. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

218. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ტ. ჯალაღანიას საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

219. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრების დანიშვნის შესახებ.

220. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მიწის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

221. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ვ. აფანასიევას საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

222. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

223. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

224. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ს. ვართანოვას საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ.

## განყოფილება მეორე

225. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

226. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. გ. გოგოლაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

227. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

228. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. არდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

229. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ი. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

230. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ვ. კიტიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

231. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ ა. გ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

232. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ა. წერეთლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

233. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. კისტერევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

234. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

235. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

236. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ე. გე[illegible]-ლისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

237. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ლ. გიორგობიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

238. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ა. გოგუაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

239. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. იოსელიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

240. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ა. ნასყიდაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

241. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. დ. ტატიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

242. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ვ. ცუცქირიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

243. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

244. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ი. ხარჩილავა... ხარქისიანისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

245. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. მ. მებუკესათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოეთის დელეგაციების სტუმრად ყოფნა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 216 სახელმწიფო არბიტრაჟის საკითხებზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო არბიტრაჟის საკითხებზე სსრ კავშირის კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 18 თებერვლისა და 22 ივნისის ბრძანებულებების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟად.

II. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1980 წლის 28 მარტს მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1980 წ., № 3, მუხ. 84):

1) მე-16 მუხლის მესამე ნაწილსა და 27-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „და საქართველოს სსრ პროკურორი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ პროკურორი და საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი“;

2) მე-19 მუხლის მესამე ნაწილში სიტყვების „საქართველოს სსრ პროკურორმა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ მთავარმა სახელმწიფო არბიტრმა“;

3) მეექვსე თავის სათაურს დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის დანიშვნა“;

4) 33-ე მუხლში სიტყვები „კომიტეტის შექმნისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ“ შეიცვალოს სიტყვებით „კომიტეტის შექმნის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევისა და საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის დანიშვნის შესახებ“;

5) 36-ე მუხლში სიტყვები „და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის და საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის დანიშვნის“;

6) 58-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთხელ მაინც წარუდგენს ანგარიშს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს საბჭოს, ამის თაობაზე სისტემატურად მოახსენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს";

7) მე-60 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „საქართველოს სსრ პროკურორის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის".

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში, საქართველოს სსრ 1980 წლის 28 მარტის კანონის რედაქციით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1980 წ., № 3, მუხ. 85), მე-6 მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „და საქართველოს სსრ პროკურორი" შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ პროკურორი და საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი".

3. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ" საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1980 წ. ,№ 11-ის დანართი):

1) 35-ე მუხლში:

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის 9[1] პუნქტი:

„9[1]) ხელმძღვანელობს სახელმწიფო არბიტრაჟს; საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის წარდგინებით ნიშნავს ავტონომიური ოლქის მთავარ სახელმწიფო არბიტრს, ისმენს ოლქის მთავარი სახელმწიფო არბიტრის ანგარიშებს";

მე-10 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სახელმწიფო არბიტრაჟსა და";

2) 42-ე მუხლის მეორე ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8[1] პუნქტი:

„8[1]) ავტონომიური ოლქის მთავარი სახელმწიფო არბიტრის დანიშვნა, **ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობაზე და**ნიშვნის და განთავისუფლების დამტკიცება";

3) 47-ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ავტონომიური ოლქის მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრს საბჭოს მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით";

ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩაითვალოს შესაბამისად მესამე და მეოთხე ნაწილებად;

**4) 52-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „აგრეთვე ავტონომიური** ოლქის პროკურორი" შეიცვალოს სიტყვებით „ავტონომიური ოლქის პროკურორი და ავტონომიური ოლქის მთავარი სახელმწიფო არბიტრი".

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 24 მარტის ბრძანებულებით დადგენილი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების ნუსხის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1983 წ., № 3, მუხ. 77) I განყოფილებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი".

III. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა უზრუნველყონ ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის ამ ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. ქავარაძე.**

თბილისი, 1987 წლის 3 სექტემბერი.
№ 1393—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 217 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„მძევლად ხელში ჩაგდებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 10 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 133[1] მუხლი:

**„მუხლი 133[1].** მძევლად ხელში ჩაგდება

პირის მძევლად ხელში ჩაგდება და დაკავება, რასაც თან ერთვის მოკვლის მუქარა, სხეულის დაზიანება ან ამ პირის შემდგომი დაკავება იმ მიზნით, რომ აიძულონ სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი შეასრულოს ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან, რაც მძევლის განთავისუფლების პირობაა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.

იგივე ქმედობა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ასეთი დანაშაულის სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩადენის შემთხვევებზე, როდესაც პირი, რომელმაც ხელში ჩაიგდო მძევალი ან აკავებს მას, სსრ კავშირის ტერიტორიაზე იმყოფება, და ეს პირი, აგრეთვე მძევალი სსრ კავშირის მოქალაქეები არიან";

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

2) 8¹ მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „(117-ე მუხლი)" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მძევლად ხელში ჩაგდება (133¹ მუხლი)";

3) 44-ე მუხლის პირველ ნაწილში:

პირველ პუნქტს სიტყვების „(117-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მძევლად ხელში ჩაგდება (133¹ მუხლი)";

მეორე პუნქტს სიტყვების „(117-ე მუხლი)" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მძევლად ხელში ჩაგდება (133¹ მუხლი)";

4) 54¹ მუხლის მესამე პუნქტს სიტყვების „(117-ე მუხლის მეოთხე ნაწილი)" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მძევლად ხელში ჩაგდება (133¹ მუხლი)";

5) 55-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მეორე პუნქტს სიტყვების „(117-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მძევლად ხელში ჩაგდება (133¹ მუხლი)";

6) 205-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „242² მუხლით" შეიცვალოს სიტყვებით „133¹ და 242² მუხლებით";

7) 206-ე მუხლს სიტყვების „(გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებებში)" შემდეგ დაემატოს სიტყვები „133¹ მუხლით (მძევლად ხელში ჩაგდება)";

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 133¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის გამომძიებლები.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 3 სექტემბერი.**
**№ 1394—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 218 ამხ. ჯ. ტ. ჯალაღანიას საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ჯონი ტრიფონის ძე **ჯალაღანია** საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის პირველ მოადგილედ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 4 სექტემბერი.**
**№ 1396—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 219 საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნონ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრებად:

ანდრო ვახტანგის ძე **ვაშაკიძე;**

თამაზ პლატონის ძე **კილანავა.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 4 სექტემბერი.
№ 1395—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 220 საქართველოს სსრ მიწის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 და 36-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1971 წლის 13 ივლისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მიწის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 7, მუხ. 124; 1980 წ., № 5, მუხ. 156) შემდეგი ცვლილებები:

38-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) კომლის ან ოჯახის ყველა წევრი გადავიდა სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ამ კოდექსის 82-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა“;

82-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასოფლო დასახლებული პუნქტის ფარგლებში მდებარე საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების მემკვიდრეობით გადასვლის შემთხვევებში მემკვიდრეებს, თუ მათ არა აქვთ დადგენილი წესით საკარმიდამო ნაკვეთის მიღების უფლება, აგრეთვე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც სოფელ ადგილას სეზონურად ან დროებით საცხოვრებლად შეიძენენ საცხოვრებელ სახლს ან რომლებსაც ამ ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას პირადი საკუთრების უფლებით გააჩნიათ საცხოვრებელი სახლი, რომლის გამოყენება სურთ აღნიშნული მიზნებისათვის, სარგებლობისათვის ეძლევათ მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის შესანახად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ოდენობით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 სექტემბერი.
№ 1403—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 221 ამხ. ლ. ვ. აფანასიევას საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ლიდია ვასილის ასული **აფანასიევა** საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან და გამოყვანილ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის შემადგენლობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 23 სექტემბერი.
№ 1424—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 222 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1984 წ., № 4, მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100) 89-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „პროკურორმა, ქალაქ თბილისის პროკურორმა“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. ქვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 23 სექტემბერი.**

**№ 1425—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 223 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 22 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად და ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1969 წ., № 6, მუხლი 122; 1974 წ., № 9, მუხ. 171; 1982 წ., № 12, მუხ. 371) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $236^2$ და $253^1$ მუხლები:

**„მუხლი $236^2$.** არასრულწლოვანების ჩაბმა იმ სამკურნალწამლო და სხვა საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, რომლებიც გაბრუებას იწვევენ.

არასრულწლოვანების ჩაბმა იმ სამკურნალწამლო და სხვა საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, რომლებიც ნარკოტიკულს არ მიეკუთვნებიან და გაბრუებას იწვევენ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“.

**„მუხლი $253^1$.** ზეთოვანი ხაშხაშის და კანაფის უკანონო დათესვა ან მოყვანა

ზეთოვანი ხაშხაშის, აგრეთვე კანაფის, გარდა ამ კოდექსის 253-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული სახეობებისა, უკანონო დათესვა ან მოყვანა, ჩადენილი განმეორებით, ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელმაც წინათ ჩაიდინა ამ მუხლის პირველი ნაწილით, ამ კოდექსის 252-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, $252^1$ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, $252^3$, $252^5$, 253-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე".

2. 230-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„ბუნაგების მოწყობა ან შენახვა იმ სამკურნალწამლო და სხვა საშუალებების გამოყენებით გაბრუებისათვის, რომლებიც ნარკოტიკულს არ მიეკუთვნებიან, ანდა ამ მიზნებისათვის სადგომების დათმობა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამას მანეთამდე".

3. 252-ე მუხლის:

სათაურში სიტყვის „ნარკოტიკულ" შემდეგ დაემატოს სიტყვა „საშუალებათა";

პირველ, მეორე, მესამე და მეხუთე ნაწილებში სიტყვები „ნარკოტიკულ ნივთიერებათა", „ნარკოტიკულ ნივთიერებებს" შეიცვალოს სიტყვებით „ნარკოტიკულ საშუალებათა", „ნარკოტიკულ საშუალებებს";

მეოთხე ნაწილში ციფრები „$252^5$ და 253-ე" შეიცვალოს ციფრებით: „$252^5$, 253-ე, $253^1$";

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა:** პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებებს, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ჩაბარებულ ნარკოტიკულ საშუალებათა შეძენის, აგრეთვე მათი შენახვის, გადაზიდვის და გადაგზავნისათვის.

პირი, რომელიც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას არასამედიცინო მიზნით ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებასთან დაკავშირებით მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებისათვის, აგრეთვე მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის და გადაგზავნისათვის".

4. $252^1$ მუხლის:

სათაურში სიტყვის „ნარკოტიკულ" შემდეგ დაემატოს სიტყვა „საშუალებათა";

პირველ და მესამე ნაწილებში სიტყვები „ნარკოტიკულ ნივთიერებათა" შეიცვალოს სიტყვებით „ნარკოტიკულ საშუალებათა";

მეორე ნაწილში სიტყვა „ნივთიერება" შეიცვალოს სიტყვით „საშუალება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. $252^2$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $252^2$.** ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შეძენა ან შენახვა, ანდა ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე

ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი განმეორებით, ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამას მანეთამდე“.

6. $252^3$ მუხლში:

სიტყვები „ნარკოტიკულ ნივთიერებათა“ შეიცვალოს სიტყვებით „ნარკოტიკულ საშუალებათა“;

მეორე, ნაწილს ციფრის „253-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „$253^1$“.

7. $252^5$ მუხლში სიტყვები „ნარკოტიკულ ნივთიერებათა“ შეიცვალოს სიტყვებით „ნარკოტიკულ საშუალებათა“.

8. 253-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 253.** გასაშენებლად აკრძალული ხაშხაშის და კანაფის დათესვა ან მოყვანა

გასაშენებლად აკრძალული ხაშხაშის, აგრეთვე ინდური, სამხრეთ მანჯურიის, სამხრეთ ჩუის, სამხრეთ არხონის და სამხრეთ კრასნოდარის კანაფის დათესვა, ან მოყვანა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან იმ პირის მიერ, რომელმაც წინათ ჩაიდინა ამ კოდექსის 252-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, $252^1$ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, $252^4$, $252^5$, $253^1$ მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე“.

II. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420; 1985 წ., № 10, მუხ. 370; 1986 წ., № 6, მუხ. 140; 1987 წ., № 6, მუხ. 151, 152, № 8, მუხ. 207) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $100^1$ და $100^2$ მუხლები:

**„მუხლი $100^1$.** ნარკოტიკების შემცველი ნათესების დაცვის უზრუნველსაყოფად ზომების მიუღებლობა

კანაფისა და ზეთოვანი ხაშხაშის ნათესების, ამ კულტურების მოსავლის შენახვისა და გადამუშავების ადგილების დაცვის დადგენილი რეჟიმის უზრუნ-

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

ველსაყოფად, აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი ნამკალისა და წარმოების ნარჩენების გასანადგურებლად ზომების მიუღებლობა —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ას მანეთამდე.

**მუხლი $100^2$.** ზეთოვანი ხაშხაშის ან კანაფის უკანონო დათესვა ან მოყვანა

ზეთოვანი ხაშხაშის, აგრეთვე გასაშენებლად აკრძალული ინდური, სამხრეთ მანჯურიის, სამხრეთ ჩუის, სამხრეთ არხონისა და სამხრეთ კრასნოდარის კანაფის გარდა სხვა კანაფის უკანონო დათესვა ან მოყვანა —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ოციდან ას მანეთამდე".

2. 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 45.** ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შეძენა ან შენახვა, ანდა ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე

ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ან ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე —

გამოიწვევს დაჯარიმებას ას მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, — ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით თხუთმეტ დღემდე.

**შენიშვნა:** პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, რაც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც მან შეიძინა ან რასაც ის ინახავდა გასაღების მიზნის გარეშე, აგრეთვე რომელმაც ნებაყოფლობით მიმართა სამედიცინო დაწესებულებას ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებასთან დაკავშირებით მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედობისათვის".

3. 205-ე მუხლის პირველ ნაწილში ციფრები „92-100-ე" შეიცვალოს ციფრებით „$92\text{-}100^2$".

4. 208-ე მუხლს სიტყვების „ამ კოდექსის" შემდეგ დაემატოს ციფრი „45-ე".

5. 209-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტის მეორე აბზაცს სიტყვების „ამ კოდექსის" შემდეგ დაემატოს ციფრი „45-ე".

6. 262-ე მუხლის მეორე ნაწილს ციფრის „154-ე" წინ დაემატოს ციფრი „45-ე".

III. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს სსრ 1972 წლის 15 ივნისის კანონის („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 6, მუხ. 101; 1974 წ., № 9, მუხ. 171) $61^1$ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მუხლს მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნარკომანიით დაავადებულნი, რომელთაც მძიმე თანამდევი სნეულებების გამო არ შეუძლიათ სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში ყოფნა, I და II ჯგუფის ინვალიდები, 60 წელს გადაცილებული მამაკაცები და 55 წელს გადაცილებული ქალები, რომლებიც თავს არიდებენ ნებაყოფლობით მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ აგრძელებენ ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებას, დადგენილი წესით გაიგზავნებიან სპეციალურ ნარკოლოგიურ განყოფილებაში იძულებითი მკურნალობისათვის ვადით სამი თვიდან ერთ წლამდე“.

2. მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეოთხე ნაწილად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამკურნალო-შრომითს და სამკურნალო-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმებში გაგზავნის წესს, აგრეთვე იქ მოთავსებულთ რეჟიმს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა“.

IV. „ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებას (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 8, მუხ. 162) დაემატოს შემდეგი შინაარსის 10[1] მუხლი:

„10[1]. ნარკომანიით დაავადებულნი, რომელთაც მძიმე თანამდევი სნეულებების გამო არ შეუძლიათ სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში ყოფნა, I და II ჯგუფის ინვალიდები, 60 წელს გადაცილებული მამაკაცები და 55 წელს გადაცილებული ქალები, რომლებიც თავს არიდებენ ნებაყოფლობით მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ აგრძელებენ ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებას, გაიგზავნებიან იძულებითი მკურნალობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დადგენილი წესით დაცულ სპეციალურ ნარკოლოგიურ განყოფილებაში ვადით სამი თვიდან ერთ წლამდე.

აღნიშნული პირების სპეციალურ ნარკოლოგიურ განყოფილებაში გაგზავნა ხდება ამ ბრძანებულების მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული წესით“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 23 სექტემბერი.

**№ 1426—XI**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 224 ამხ. ო. ს. ვართანოვას საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოლღა სტეფანეს ასული **ვართანოვა** საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 24 სექტემბერი.
№ 1427—XI

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 225 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალზე ადამიანთა გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოვდნენ:

ვლადიმერ ლეონიდის ძე **ავერბურგი** — სამხედრო ნაწილის მაიორი.
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ვოლჩიკი** — სამხედრო ნაწილის მაიორი.
ვლადიმერ ალექსის ძე **ნეკრასოვი** — სამხედრო ნაწილის პოდპოლკოვნიკი.
ხარას ტაგირის ძე **სალიკოევი** — სამხედრო ნაწილის მაიორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 14 სექტემბერი.
№ 1401—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 226 ამხ. კ. გ. გოგოლაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალზე ადამიანის გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ბორჯომის რაიონული სამომხმარებლო კოოპერაციის მძღოლი ამხ. კონსტანტინე გიორგის ძე **გოგოლაძე** დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი,** 1987 წლის 14 სექტემბერი.
№ 1400—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 227 რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

შალვა სევერიანეს ძე **დოლიძე** — ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი.

ნორა შალვას ასული **მირიანაშვილი** — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“ პლასტმასების შემდუღებელი.

სოფიო ივანეს ასული **ნათენაძე** — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ მგრეხელი.

ირაიდა აპოლონის ასული **პატარავა** — ქუთაისის რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნის მწნეხელ-ვულკანიზატორი.

გიორგი გენადის ძე **სინათაშვილი** — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის უფროსი მეაპარატე.

ელიზა სიმონის ასული **ჭიბოშვილი** — საწარმოო გაერთიანება „საქბიოფარმპრეპარატების“ ამპულების მრჩილავი.

№ 9/ ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ვახტანგის ძე **ხუციშვილი** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ განყოფილების უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1416—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 228 ამხ. მ. მ. არდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, სამეურნეო და სამეცნიერო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ამხ. მურმან მიხეილის ძე **არდია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1412—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 229 ამხ. თ. ი. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ორგანიზაციულ-საბჭოთა მუშაობის განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. თინა ივანეს ასული **ვაშაკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1409—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 230 ამხ. ნ. ვ. კიტიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი ამხ. ნოშრევან ვალერიანის ძე **კიტია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1407—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 231 ამხ. ა. გ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის წევრი ამხ. ალექსანდრე გრიგოლის ძე **მახარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1406—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 232 ამხ. პ. ა. წერეთლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

შავი მეტალურგიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ინჟინრის მოადგილე ამხ. პავლე ალექსანდრეს ძე წერეთელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1404—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 233 ამხ. ვ. ი. კისტერევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის ფასების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე კისტერევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 22 სექტემბერი.
№ 1418—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 234 ამხ. ვ. ი. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვახტანგ ივანეს ძე მახარაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 30 სექტემბერი.
№ 1433—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 235 რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგში დამსახურებისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

გიორგი მიხეილის ძე **მეტრეველს** — № 9 ტრესტ „ცენტრქიმრემმშენის" რუსთავის სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს ოსტატს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"

გიორგი ივანეს ძე **ნუცუბიძეს** — საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორი"

თინა დიმიტრის ასულ **კვინიკაძეს** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრის" საპროექტო-საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს მთავარ კონსტრუქტორს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"

რევაზ პოლიკარპეს ძე **ბერძულს** — ქუთაისის რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნის მწნეხელ-ვულკანიზატორს.

მარიამ ივანეს ასულ **უგრელიძეს** — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" ოპერატორს.

გულთამზე სეითის ასულ **წიკლაურს** — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" მეაპარატეს.

ლაურეტა გრიგოლის ასულ **ჭანტურიშვილს** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" კადრების განყოფილების უფროსს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.**

**№ 1417—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 236 ამხ. გ. ე. გელაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის ფოსტამტის უფროსს ამხ. გელა ელისეს ძე **გელაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1407—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 237 ამხ. ო. ლ. გიორგობიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგეს ამხ. ოთარ ლეონტის ძე **გიორგობიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1405—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 238 ამხ. ო. ა. გოგუაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს ამხ. ოთარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის ძე **გოგუაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1410—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 239 ამხ. ნ. ა. იოსელიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს ამხ. ნოდარ არისტარხის ძე **იოსელიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1413—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 240 ამხ. ი. ა. ნასყიდაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს პროფესორ ილია არჩილის ძე **ნასყიდაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1415—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 241 ამხ. ო. დ. ტატიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში პროფესორ ოთარ დიმიტრის ძე ტატიშვილს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1411—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 242 ამხ. ლ. ვ. ცუცქირიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

შავი მეტალურგიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ზ. ა. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მთავარ ინჟინერს ამხ. ლანგუსი ვიქტორის ძე ცუცქირიძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 სექტემბერი.
№ 1414—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 243 „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“** მიენიჭოთ:

არჩილ ჯახუს ძე **არქანიას** — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის მზიურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს, პროპაგანდისტს.

ალექსანდრე ოგანეზის ძე **ზულინიანს** — თბილისის 96-ე საშუალო სკოლის დირექტორს, პროპაგანდისტს.

გიორგი კონსტანტინეს ძე **იოსელიანს** — ქუთაისის სახლსაშენებელი კომბინატის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსს, პროპაგანდისტს.

ნოე ვასილის ძე **კულავას** — აფხაზეთის პურპროდუქტებისა და კომბინირებული კვების მრეწველობის სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსს, პროპაგანდისტს.

შოთა მათეს ძე **ოსეფაშვილს** — ყვარლის რაიონის ჰიკაანის საშუალო სკოლის მასწავლებელს, პროპაგანდისტს.

ნინელი ილიას ასულ **რატიანს** — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **საჯაიას** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მართვის ცენტრის განყოფილების გამგეს, პროპაგანდისტს.

არსენ ალექსანდრეს ძე **უდესიანს** — მესტიის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს, სემინარის ხელმძღვანელს.

ვლადიმერ ილიას ძე **ქევხიშვილს** — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიწათმოქმედების ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს.

მაყვალა მიხეილის ასულ **ქერდუყაშვილს** — გორის რაიონის სკრის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, პროპაგანდისტს.

შოთა დავითის ძე **ჩაჩანიძეს** — ჭიათურის ავტომოყვარულთა საქალაქო საზოგადოების თავმჯდომარეს, პროპაგანდისტს.

თენგიზ კონსტანტინეს ძე **ჩიხლაძეს** — გარდაბნის ბიოკომბინატის სახელმწიფო კონტროლიორს, პროპაგანდისტს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი**, 1987 **წლის** 22 **სექტემბერი.**

**№ 1420—XI**

№ 9/ ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 244 ამხ. ო. ი. სარქისიანისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საავიაციო მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების განყოფილების უფროსის მოადგილეს ამხ. ონიკ იაკობის ძე **სარქისიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 22 სექტემბერი.
№ 1419—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 245 ამხ. კ. მ. მებუკისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს კირა მირიანის ასულ **მებუკეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 24 სექტემბერი.
№ 1428—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დადგენილების შესაბამისად საქალაქო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი საჭირო ღონისძიებებს ახორციელებს ამ მიმართულებით.

ამასთან, როგორც წარმოდგენილი მასალების ანალიზმა ცხადყო, საქალაქო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საქმეში კვლავ შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიამ რჩევა მისცა:

წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი კომისიის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დეპუტატთა ფორმირებების მუშაობას, წარმართოს იგი საბინაო ფონდის მოვლა-შენახვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად, ქალაქ-კურორტის კეთილმოწყობის და მისი გარეგნული იერსახის გაუმჯობესებისათვის; გაზარდოს ქ. წყალტუბოს ზონის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საბინაო კანონმდებლობის განუხრელი დაცვის, საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის შესრულების, ქალაქის კეთილმოწყობის დონის ამაღლებისათვის; დააწესოს დეპუტატთა კონტროლი საბინაო ფონდის სარემონტო სამუშაოების ხარისხიანად და დროულად ჩატარებასა და სასმელი წყლის ხარჯვის ყაირათიანობაზე; გამოავლინოს მოსახლეობაში სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი ოსტატები და დროულად შექმნას ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის კოოპერატივები, რაც ბევრად შეუწყობს ხელს სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებას.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა გააძლიეროს ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება ქ. წყალტუბოს საბინაო-საექსპლუატაციო კანტორისადმი; განიხილოს და გადაწყვიტოს ქ. ფოთის სამშენებლო-სარემონტო უბნის № 2 ტრესტიდან წყალტუბოს სარემონტო სამსახურის დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფის, ქ. წყალტუბოში ცენტრალური საქვაბის მშენებლობისა და გათბობის ქსელის რეკონსტრუქციის საკითხები; მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განიხილოს და გადაწყვიტოს ქ. წყალტუბოში საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგებისა და სპეციალური მასალების გამოყოფის საკითხები.

№ 9/
ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისი რჩევა მიეცათ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანებას, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ე. ტურძელაძის მოხსენება და დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელის ვ. კრასნობაევის თანამოხსენება ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ორ და სამცვლიან სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ქალაქის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზაციის შესახებ. აღინიშნა, რომ დღეისათვის მრავალცვლიან სამუშაოზე მთლიანად გადავიდა 7, ხოლო ნაწილობრივ — 82 საწარმო. საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალური გადაწყვეტილებით შეიქმნა სამრეწველო საწარმოთა მუშაკების სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხთა მოწესრიგების ხელშემწყობი საქალაქო კომისია. ცვლის დამთავრებისათვის შემოღებულია დამატებითი რეისები მუშათა თემქის, გლდანის, მუხიანის დასახლებებში გადასაყვანად.

ამასთან ერთად სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მრავალცვლიანი მუშაობის რეჟიმზე სამრეწველო საწარმოთა გადასვლასთან დაკავშირებით ქალაქის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების ძირეულ გაუმჯობესებას; ამ საქმეში შეინიშნება ბევრი ნაკლოვანება და გადაუჭრელი ამოცანა.

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოებს არა აქვთ დაწესებული კონტროლი ღამის საათებში ავტომარშრუტების მუშაობის რეჟიმის დაცვისადმი. მეტროპოლიტენის ბოლო სადგურებზე არ არის სატრანსპორტო მარშრუტების მაჩვენებელი მუშაობის პერიოდულობის მონაცემებით. ხშირია ცალკეული მარშრუტების მუშაობის გრაფიკის დარღვევის ფაქტები, განსაკუთრებით ღამის უკანასკნელ რეისებზე. ეს უფრო მეტად ეხება № 39, 31, 18, 1, 43, 88, 53, 67 ავტობუსებისა და № 10 ტრამვაის რეისებს. საქალაქო ტრანსპორტის არარიტმულობის გამო გაიზარდა სამუშაოზე დაგვიანების პროცენტი. შეინიშნება სამრეწველო საწარმოებზე მიმაგრებული სატრანსპორტო გაერთიანების ავტობუსების მძღოლთა თვითნებური მოქმედება, მათ მიერ მომსახურების გრაფიკის დარღვევა.

ზოგიერთ საწარმოს ღამით ქალაქის ძნელად მისასვლელ ადგილებში მცხოვრებთა გადასაყვანად არა აქვს არც საკუთარი და არც დაქირავებული

ტრანსპორტი („თბილმეორადპოლიმერი", ს/გ „მშენდეტალი", № 2 მექანიკური ქარხანა, სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა), რაც აფერხებს მუშაკთა მრავალცვლიანი მუშაობის რეჟიმზე გადაყვანას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციები მისცეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებას.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ თავის სხდომაზე მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ინფორმაცია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე სახალხო დეპუტატთა მანგლისის სადაბო და უსახელოს სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მიერ შეტანილი წინადადებების შესახებ.

## საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოეთის დელეგაციების სტუმრად ყოფნა

1987 წლის 31 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე საქართველოს სს რესპუბლიკაში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის პროცედურის საკითხთა კომისიის წევრების დელეგაცია მისი თავმჯდომარის დემოკრატ კლოდ პეპერის მეთაურობით.

31 აგვისტოს ამერიკელი სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. პ. გ. გილაშვილმა. საუბარში მან ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიოს პოლიტიკური ატმოსფერო ბევრადაა დამოკიდებული სსრ კავშირისა და აშშ-ის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ჩვენი სახელმწიფოები, საბჭოთა და ამერიკელი ხალხი მომავლისაკენ სხვადასხვა გზებით მიემართებიან, მაგრამ ამასთან არსებობს საერთო პრობლემები და, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიოს ბედისათვის ორი დიდი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრობლემა, — აღნიშნა მან.

საუბრის მონაწილეები ერთსულოვანნი იყვნენ იმ საკითხებში, რომ გარდაქმნის პოლიტიკა სსრ კავშირში არა მარტო საშინაო ხასიათისაა, არამედ საერთაშორისო ასპექტსაც მოიცავს.

ამერიკელმა კონგრესმენებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ესაუბრნენ რესპუბლიკის გერონტოლოგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

10-დან 13 სექტემბრამდე საქართველოში სტუმრობდნენ შვეციის რიკსდაგის (პარლამენტის) სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები მისი თავმჯდომარის დანიელ ტარშისის მეთაურობით.

11 სექტემბერს რესპუბლიკის სტუმრებს მიღება მოუწყვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. თ. შ. კაბულოვა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვ. ა. კვარაცხელია, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე გ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ამხ. რ. შ. კაკულია. მათ სტუმრებს გააცნეს საქართველოს ისტორია, კულტურა, ესაუბრნენ მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გარდაქმნაზე, რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის საქმიანობაზე; ახსნა-განმარტება მისცეს მათთვის საინტერესო ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საკითხებზე.

ამავე დღეს შვედ სტუმრებს საუბარი ჰქონდათ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრთან ამხ. კ. კ. გარდაფხაძესთან, დაათვალიერეს ხანდაზმულ პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატი.

საქართველოში ყოფნის დროს შვეციის პარლამენტარები გაეცნენ ქ. ქ. თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერეს საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, იყვნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლზე, ქართული ფოლკლორული მუსიკის კონცერტზე და სხვაგან.

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 11 სექტემბრის № 1399—XI ბრძანებულებით მცხეთის რაიონის ძეგვის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ქსანი, ხოლო მუხრანის სასოფლო საბჭოს — სოფელი ციხისძირი და მათ ბაზაზე შეიქმნა ქსნის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქსანში.